პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 ოქტომბერი, სამშაბათი, 1986 წ.
№ 198 (2359) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**გუშინ** საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონებთან და პრიზიორებთან, მათ მწვრთნელებთან, ქართული სპორტის ვეტერანებთან.

შეხვედრა გახსნა და შეკრებილთ გულთბილად მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი.

ინფორმაცია სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაში რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის გამოსვლის შედეგების შესახებ გააკეთა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ენდელაძემ.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ სპარტაკიადის ჩემპიონები მ. აზარაშვილი, ა. [illegible]დევი, რ. ხოფერია; პრიზიორები: მ. [illegible]გაძე, ვ. იაგორაშვილი; მწვრთნელები: ნ. სალაძე და დ. ხაბულიანი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილი.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, სპარტაკიადის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. ჩერქეზიამ.

შეხვედრას დაესწრნენ ამხანაგები გ. ენუქიძე, ზ. ჩხეიძე, ვ. ალავიძე, ჯ. მარგველიძე.

შეხვედრის შედეგები შეაჯამა და ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ჯ. პატიაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული შეხვედრის მონაწილეებმა სამახსოვრო სურათი გადაიღეს.

ა. რუხაძისა და ო. თურქიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სპარტაკიადის ექო

## ეს გუნდი უმაღლეს ჯილდოსაც იმსახურებდა

IX საკავშირო სპარტაკიადის დღეებში ჩვენი გაზეთი ცდილობდა შეძლებისდაგვარად ფართოდ გაეშუქებინა საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლა ამ ყველაზე მნიშვნელოვან საკავშირო შეჯიბრებებში, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ვალში ვართ საქართველოს ხმლით მოფარიკავეთა წინაშე. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ მოსკოვში, „დრუჟბას" უნივერსალურ სპორტულ დარბაზში მუშკეტერთა შეჯიბრების დროს გადაღებული ფოტოსურათები, თანდართული ვრცელი ანგარიშით, რომელიც რედაქციაში გამოიგზავნა, დაიკარგა. გუშინ კვლავ მოგვეცა შესაძლებლობა ერთად გადაგვეღო საქართველოს იმ ხუთი ხმლით მოფარიკავის ფოტოსურათები, რომლებმაც ჩვენი ფარიკაობის ისტორიაში პირველად მოიპოვეს საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლის მედლები.

მათ მიერ მოსკოვში მოპოვებული წარმატება მართლაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ხუმრობა საქმეა, მოსკოვში დაამარცხო ამ ქალაქის აღიარებული საფარიკაო სკოლის გუნდი, რომელსაც ბოლო სამ სპარტაკიადაში სამი გამარჯვება აქვს მოპოვებული? ალბათ გახსოვთ, ჩვენმა ხუთეულმა შეჯიბრების კიდევ ერთი ფავორიტი, უკრაინის ნაკრები „ჩამოიცილა" ბილიკიდან. ქართველი მუშკეტერები იმ დღეს ყველაზე მძიმე მდგომარეობიდანაც ახერხებდნენ გამოსვლას. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც ირაკლი გვარამაძე 0:4 აგებდა შეხვედრას, მაგრამ ბოლოს მაინც გაიმარჯვა (5:4). სხვა შეხვედრაში მერაბ ბაზაძეს მეტოქე სწორედ ასეთი ანგარიშის — 4:0-ის შემდეგ დაეწია. მაგრამ გადამწყვეტი ჩხვლეტა კვლავ ჩვენს სპორტსმენს დარჩა—5:4. ფინალში კი, ნევისპირელთა ნაკრებთან შეხვედრაში, ყველაფერი შემთხვევამ გადაწყვიტა — ეს მატჩი 8:8 დამთავრდა. ერთმა ზედმეტმა ჩხვლეტამ გამარჯვება ჩვენს მეტოქეებს არგუნა. სპეციალისტების აზრით, ჩვენი გუნდიც უმაღლეს ჯილდოს იმსახურებდა.

**ს უ რ ა თ ზ ე:** (მარცხნიდან); დავით თურქია, მერაბ ბაზაძე, ირაკლი გვარამაძე, ზაზა მჭედლიძე, აკაკი მახარაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



მაია ჩიბურდანიძე — ელენა ახმილოვსკაიას მატჩი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის

## მეთორმეტე პარტია

როგორც გაუწყეთ, შაბათს გაიმართა მატჩის მეთორმეტე პარტია, რომელიც 25-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ახლა გთავაზობთ ამ პარტიის ტექსტს.

**ახმილოვსკაია — ჩიბურდანიძე**

**გრიუნფელდის დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მf3 კg7 4. g3 0—0 5. კg2 c6 6. მc3 d5 7. cd cd 8. მe5 e6 9. 0—0 მfd7 10. მf3 მc6 11. კf4 ლb6 12. მa4 ლa5 13. ეc1 b5 14. მc5 მ:c5 15. ე:c5 კd7 16. a3 ლa4 17. e3 ლ:d1 18. ე:d1 ეfc8 19. ეdc1 კf8 20. ეc2 კe7 21. კf1 a6 22. b4 a5 23. კ:b5 ab 24. ab მ:b4 25. ე:c8+. ყაიმი.

## ელვა-ინფორმაცია

**საქართველოს** ახალი რეკორდი დაამყარა სოხუმელმა ბირთვის მკვრელმა სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონმა ტარიელ ბიწაძემ (მწვრთნელი თამაზ ჭედია). ბაქოში გამართულ 26 კომისრის მემორიალში ბირთვის მკვრელთა შეჯიბრება ზედიზედ ორჯერ გაიმართა. პირველ შემთხვევაში ტარიელმა 20,46 აჩვენა და II ადგილი დაიკავა. მაგრამ როდესაც მსაჯებმა ასპარეზობის შემდეგ ბირთვი აწონეს, იგი ნორმაზე ორასი გრამით მსუბუქი აღმოჩნდა. ამის გამო სპორტსმენებს მეორე დღეს ხელახლა მოუხმეს საასპარეზოდ. აქ ბიწაძემ ბირთვი 19,90 მ-ზე სტყორცნა და მესამე ადგილი დაიკავა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი მეკლდეურობაში

## ზინა ჭკადუა — პირველი ჩემპიონი

**ბაბრიდან** ფრიად სასიხარულო ცნობა მივიღეთ: აქ მიმდინარე მეკლდეურეთა საკავშირო ჩემპიონატის პირველ დღეს, წყვილთა გარბენში, ყველას აჯობა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ზინა ჭკადუამ.

საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში ჩვენი ქალთა გუნდის წარმომადგენელმა პირველად მოიპოვა ოქროს მედალი.

ზინა მესტიის რაიონის სოფელ ხაიშის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელია. განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტსკოლის აღზრდილს სპორტის ოსტატი, ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონი ლადო გურჩიანი ავარჯიშებს.

ზ. ჭკადუამ შარშან მიხეილ ხერგიანის საკავშირო მემორიალში პროგრამის სამივე სახეობაში ყველას აჯობა, აბსოლუტური გამარჯვებულის სახელი მოიპოვა. ამ გამარჯვებით კი მან სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა.



თბილისში „დინამოს" სტადიონის მძლეოსანთა სარბიელზე გაიმართა დედაქალაქის ღია პირველობა, რომელშიც როსტოველი, ტალინელი და ვოლგოგრადელი მძლეოსნებიც ასპარეზობდნენ (წერილს ამ შეჯიბრების შესახებ „ლელოს" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ).

საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში

# მასპინძელთა 12 მედალი

**ძიუდოისტებმა ფაქტიურად დაამთავრეს 1986 წლის სპორტული სეზონი, უკვე გაიმართა მნიშვნელოვანი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები. ამ დღეებში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატიც, რომელსაც გორის სპორტსკოლის დარბაზმა უმასპინძლა. ჩემპიონატის შედეგებზე გვესაუბრება საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ძიუდოში იური იმერლიშვილი:**

— გორი შემთხვევით არ აგვირჩევია ჩემპიონატის მასპინძლად. ამ ქალაქის ძიუდოისტთა წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია, სპორტის ეს სახეობა, შეიძლება ითქვას, ყველაზე პოპულარულია გორში და ნებისმიერი რანგის შეჯიბრება გულშემატკივართა დიდ ინტერესს იწვევს. ერთიც არის: გორს ჯერჯერობით არა აქვს ჭიდაობის თანამედროვე დარბაზი, შეჯიბრებების ჩატარება ძირითადად სპორტსკოლის დარბაზში გვიხდება, აქ კი ასამდე მაყურებელი თუ ეტევა.

გორში სასპარეზოდ შეიკრიბა რესპუბლიკის 20 ქალაქისა და რაიონის 195 მოჭიდავე. ეს იყო პირადი ჩემპიონატი. სამწუხაროდ, ამჯერად საქართველოს უძლიერესი ძიუდოისტები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სარბიელზე არ გამოსულან. საქმე ის არის, რომ წელს მათ საკმაოდ დაძაბული სეზონი ჰქონდათ, ახლახან დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი და მწვრთნელებმა ნაკრების წევრებს დასვენების საშუალება მისცეს. ერთი სიტყვით, გორის ტატამზე ძირითადად ახალგაზრდა ფალავნებმა მოსინჯეს ძალა. მძიმე წონაში იჭიდავა საბჭოთა კავშირის ხალხთა წლევანდელი სპარტაკიადის ჩემპიონმა, ქუთაისელმა ავთანდილ გუბელაძემ. მან ყველა მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხა და ჩემპიონი გახდა. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა მოდებაძე — დემეტრაშვილისა და ნავერიან — ბაგაურის ფინალური შეხვედრები. კარგად იჭიდავეს გორელებმა — მამუკა მაზმიშვილმა და გაბრიელ ფერსაშვილმა. ამ უკანასკნელმა 78 კგ წონაში მეორე ადგილი დაიკავა, შეჯიბრების ბოლო დღეს კი აბსოლუტური პირველობა მოიგო. საერთოდ, მასპინძლებმა საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს. საკმარისია ითქვას, რომ პრიზიორთა შორის მოხვდა გორის 12 წარმომადგენელი. აქვე ერთიც უნდა ითქვას: ამ შეჯიბრებაზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ჩვენს ძიუდოისტებს ჩოქბჯენში ჭიდაობა უჭირთ, არ გამოსდით კომბინაციური ილეთები, მხოლოდ დგომში ცდილობენ ქულების მოპოვებას. არადა, მახრჩობელა და მტკივნეული ილეთების გარეშე დიდი წარმატების მოპოვება ძნელია. ვსარგებლობთ შემთხვევით და კიდევ ერთხელ შევახსენებთ მწვრთნელებს, რომ აუცილებელია ჩოქბჯენს მეტი ყურადღება დაუთმონ.

ბოლოს მსაჯობის შესახებ. რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე მსაჯობის დონე აშკარად დაბალია და ასე გრძელდება წლების განმავლობაში. კვალიფიციური მსაჯები (ასეთები კი საკმაოდ გვყავს) ხშირად თავს არიდებენ ჩვენს შეჯიბრებებს. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით უკვე შევიმუშავეთ კონკრეტული ღონისძიებები, სისტემატურად მოეწყობა მსაჯთა სემინარები, გაიზრდება საკავშირო სემინარებზე მივლინებულთა რაოდენობა, დამტკიცდა სპეციალური გრაფიკი, რომელშიც აღნიშნულია ვინ უნდა იმსაჯოს ესა თუ ის შეჯიბრება.



213 — ქვარცხლბეკი

**60 კგ.** 1. დავით გაგუნაშვილი (ახმეტა); 2. დავით ტატულაშვილი (გორი); 3. არსენ აზალაძე (გორი) და გოჩა ტატიშვილი (თელავი).

**65 კგ.** 1. გურამ მოდებაძე (თბილისი); 2. დავით დემეტრაშვილი (კასპი); 3. დავით მარტყოფლიშვილი (თბილისი) და ბესიკ მუხიაშვილი (თბილისი).

**71 კგ.** 1. კახაბერ ამბოკაძე (გორი); 2. ზაზა ვაზაგაშვილი (გორი); 3. ზურაბ ფარქოსაძე (თბილისი) და კოტე გერლიანი (სოხუმი).

**78 კგ.** 1. მამუკა მაზმიშვილი (გორი); 2. გაბრიელ ფერსაშვილი (გორი); 3. გაიოზ ცერცვაძე (გორი) და ვასილ ჯიოშვილი (გორი).

**86 კგ.** 1. თამაზ ნავერიანი (თბილისი); 2. დავით ბაგაური (ახმეტა), 3. ზაზა ბერიკიშვილი (ახმეტა) და გიგლა რთველიაშვილი (თბილისი).

**95 კგ.** 1. გიორგი მუმლაძე (რუსთავი); 2. თამაზ წითელაური (თელავი); 3. ალექსანდრე დონღუზაშვილი (გორი) და ზაზა ხაბელაშვილი (გორი).

**+ 95 კგ.** 1. ავთანდილ გუბელაძე (ქუთაისი); 2. მიხეილ ხუმარაძე (გორი); 3. ბესიკ გულიაშვილი (კასპი) და ნიკოლოზ მართაშვილი (თბილისი).

აბსოლუტური კატეგორია. 1. გაბრიელ ფერსაშვილი (გორი); 2. მალხაზ პერტენავა (თბილისი); 3. გია ციხისელი (თბილისი) და რამაზ სუხიშვილი (კასპი).

# რატომ არის თამაშის კლასი ასე დაბალი?

ვეკითხებით ფრენბურთში ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელებს

ბათუმში, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დარბაზში ჩატარდა საქართველოს პირველობა ფრენბურთში 1969-1970 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავისა და ქობულეთის ჭაბუკი სპორტსმენები, ისინი, ვინც ახლო მომავალში რესპუბლიკის სპორტული ღირსება უნდა დაიცვას, ვისაც ხვალის იმედად მიიჩნევენ. უნდა ითქვას, რომ **სამწუხაროდ, ასპარეზობამ მათი მომზადების დაბალი დონე გამოავლინა. სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით გამარჯვებულის — თბილისის გუნდის თამაშმაც კი ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება. ამიტომ იყო, ასპარეზობის პირველი დღის შემდეგ შეხვედრები ცარიელ დარბაზში რომ მიმდინარეობდა.**

შეჯიბრების მონაწილენი ორ ქვეჯგუფში გაერთიანდნენ: პირველ ქვეჯგუფში თბილისელებმა ერთნაირი ანგარიშით — 3:0 დაამარცხეს სოხუმის, რუსთავისა და ქობულეთის კოლექტივები და ფინალში შეხვდნენ ქუთაისელებს, რომლებმაც თავის მხრივ, მეორე ქვეჯგუფში მოუგეს, ცხინვალისა (3:0) და ბათუმის (3:2) გუნდებს. თბილისელ ფრენბურთელებს არც ფინალური ბრძოლის მოგება გასჭირვებიათ — 3:0. მესამე-მეოთხე ადგილებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ქვეჯგუფებში მეორე ადგილებზე გასული სოხუმისა და ბათუმის კოლექტივები. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს ბათუმელებმა.

**უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, სპორტის მესვეურებმა, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ხელმძღვანელებმა ყველა ღონე იხმარეს იმისათვის, რომ მონაწილეებს ასპარეზობისა და დასვენება-გართობის საუკეთესო პირობები ჰქონოდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, მონაწილეთა დაბალმა ოსტატობამ ყველაფერს ლაზათი დაუკარგა. როგორც ჩანს, მთელს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით პერიფერიებში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ფრენბურთის პოპულარიზაციას, მოზარდ სპორტსმენთა. ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას.**

**ლევან ქავჟარაძე.**
„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი.

საქართველოს მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში

# სამი ტურის შემდეგ

მწვანე კონცხზე დაიწყო საქართველოს მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში გოგონათა და ჭაბუკთა შორის. გოგონათა ტურნირში სამი ტურის შემდეგ დაწინაურდნენ მზია ფანიაშვილი (რუსთავი) — 3 ქულა, ირინე სანებლიძე (თბილისი) და სოფიკო ნიკოლაძე (ქუთაისი) — 2,5-2,5. ჭაბუკებში სამი ქულით ცხაკაიელი რომან სიჭინავა ლიდერობს. 2,5-2,5 ქულა აქვთ ალეკო იოსელიანს, რამაზ მჭედლიშვილსა და იანის პოპოვს (სამივე — თბილისი).

**გურამ ჟანტურია,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.



# მაშ ასე, დავიწყეთ!

**ბეისბოლი! ამ სიტყვამ ჩვენში უკვე არსებობის უფლება მოიპოვა. სწორედ ჩვენთან შეიქმნა საბჭოთა კავშირში პირველი ჯგუფი სპორტის აქამდე უცნობ სახეობაში. გაზეთმა ადრე უკვე გააცნო მკითხველს ამ თამაშის წესები.**

**სექტემბერში პირველი ვარჯიშიც შედგა. ერთი ხელთათმანი, ორი თვითნაკეთი ტაფელა და ჩოგბურთის ხუთი ბურთი (ჯერჯერობით ამ ბურთითაც იოლად გადიან) — ეს არის და ეს. მოვარჯიშეთა მღელვარება გასაგებია — მათი ყოველი ნაბიჯი „ისტორიულია".**

**...დღეს, 14 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე, ლისის ტბაზე რიგით მეათე ვარჯიში გაიმართება.**



პირველი შეხვედრა, პირველი სამახსოვრო ფოტო.

პირველი ნაბიჯი არც ისეთი ძნელი აღმოჩნდა, როგორც ზოგიერთ პესიმისტს ეგონა. ბეისბოლის „ქართველ პიონერთა" ენთუზიაზმმა გაგვაოცა: დილის 10 საათისთვის ლისის ტბასთან 100-მდე სხვადასხვა ასაკის ადამიანმა მოიყარა თავი. მათ შორის ყველაზე უმცროსია თოთხმეტი წლის თაყა ჩხაიძე, ყველაზე უფროსი — 45 წლის დემურ ქართველიშვილი. ბატონი დემური სავარჯიშოდ მოვიდა თავის 17 წლის ვაჟიშვილთან, გიორგისთან ერთად. მწვრთნელის კითხვაზე, თავადაც აპირებდა ვარჯიშს თუ, უბრალოდ, ვაჟიშვილს წამოყვა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, მამამ გაკვირვებულმა უპასუხა: „რიკ-ტაფელა მითამაშია, ჩილიკა-ჯოხი, ლახტიც, ჩემო ბატონო, ვითომ ბეისბოლის თამაში უფრო ძნელია? ვეღარ შევეკამათნენ. ბეისბოლი, როგორც ამტკიცებენ მხოლოდ სიტყვიერადაც ძნელი ასახსნელია (თუმცა უახლოეს მომავალში შევეცდებით ჩვენი გაზეთის საშუალებით დავამტკიცოთ საპირისპირო). ბეისბოლის პირველმა მწვრთნელმა საქართველოში (უფრო სწორად, საბჭოთა კავშირში), 28 წლის გეოგრაფმა გელა ჩიხრაძემ მოახერხა თავისი პირველი მოწაფეებისთვის საკმაოდ გასაგებად აეხსნა ამ თამაშის წესები. მალე მას ბეისბოლის მცოდნე მოხალისე „თანაშემწეებიც" გამოუჩნდნენ. ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, ეროვნებით ქართველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი რონალდ რეხვიაშვილი მეორე ამერიკელია, რომელიც ჩვენი გაზეთის მოწოდებას გამოეხმაურა და მზად არის დაგვეხმაროს საქართველოში ბეისბოლის დანერგვაში. ალაბამის შტატის სამართლის უნივერსიტეტის პროფესორმა უიზ ჰოლტმა „ლელოს" გამოუგზავნა წიგნები, ჟურნალები და ორი სასწავლო ვიდეოკასეტა. გუშინ მივიღეთ პროფესორ ჰოლტის წერილი. იგი მხურვალედ მიესალმება ამ წამოწყებას და გვპირდება რომ შეძლებისდაგვარად დახმარების ხელსაც გამოგვიწვდის. ბედნიერ „ნაოსნობას" გისურვებთ!

**პეპი ბოჭორიშვილი,**
**თამაზ მიგრიაული.**







საჩვენებელი ვარჯიშის მომენტები.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

# საბჭოთა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ითამაშეს

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს საფრანგეთისა და სსრ კავშირის ეროვნულ გუნდებს შორის საერთაშორისო საფეხბურთო წრეები დიდი ინტერესით მოელოდნენ. კონტინენტის ჩემპიონატის ფინალში საკლასიფიკაციო გუნდებიდან მხოლოდ თითო გამარჯვებული გუნდი გადის. ამდენად ყოველ მატჩს, თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ამას გარდაც საფრანგეთისა და სსრ კავშირის გუნდების ეს შეხვედრა მეტად პრინციპული, საპრესტიჟო იყო.

11 ოქტომბრის მატჩამდე საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის პირველი გუნდები ერთმანეთს ათჯერ შეხვდნენ, საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა სამჯერ, ფრანგებმა — ორჯერ, 5 შეხვედრა დამთავრდა ფრედ. ამ ორი გუნდის ბოლო შეხვედრა წლეულს ივნისში გაიმართა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით და ფრედ დამთავრდა — 1:1.

სანამ უშუალოდ ამ მატჩის აღწერას შევუდგებოდეთ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველებს გავაცნოთ თუ როგორ აფასებდნენ მის სავარაუდო შედეგს საბჭოთა ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტები, მათი პროგნოზები 4 ოქტომბერს გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტიაში", ამ თავისებურ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ხუთმა სპეციალისტმა, აი მათი პროგნოზები:

**საფრანგეთი — სსრ კავშირი**

| | |
|---|---|
| მ. იაკუშინი | 0:1 |
| ლ. იაშინი | 1:2 |
| ი. ნეტო | 1:2 |
| ვ. პონედელნიკი | 2:2 |
| ა. შესტერნიოვი | 1:2 |

როგორც ხედავთ, ჩვენი სპეციალისტები ერთობ ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი ამ მეტად რთული თამაშის წინ და, თუმცა, ზუსტი ანგარიში ვერც ერთმა მათგანმა ვერ იწინასწარმეტყველა, მ. იაკუშინმა, ლ. იაშინმა, ი. ნეტომ და ა. შესტერნიოვმა წინასწარვე განსაზღვრეს საბჭოთა გუნდის გამარჯვება, მხოლოდ ვ. პონედელნიკმა „შეიკავა" თავი, როცა ფრე იწინასწარმეტყველა. უმეტესობის ვარაუდი გამართლდა, საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა — 2:0.

უნდა ითქვას, რომ ასეთივე ოპტიმიზმი სუფევდა ჩვენს ნაკრებშიც, კერძოდ, უფროსმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ მატჩამდე ერთი კვირით ადრე განაცხადა, რომ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ საფრანგეთის ნაკრებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, გუნდი ვერ თამაშობს ადრინდელი სიძლიერით, საწვრთნელ თუ ოფიციალურ მატჩებში საფრანგეთის ნაკრებში არ იგრძნობოდა საკუთარი ძალების რწმენა, დამაჯერებლობა, ეს უკვე ის გუნდი აღარაა, რომელიც ევროპულ საფეხბურთო მოდას კარნახობდა ბოლო წლებში. და, მაინც, პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე მოსალოდნელი იყო დაძაბული ბრძოლა, ვინაიდან საფრანგეთის ნაკრებს სხვა გზა არ ჰქონდა, საკუთარი მაყურებლის წინაშე მას უნდა მთელი მონდომებით, მაქსიმალური ძალით ებრძოლა. გარდა ამისა, ვ. ლობანოვსკიმ ისიც აღნიშნა, რომ საბჭოთა ნაკრებს ამ მატჩისთვის, დაუბრუნდებოდნენ გამოცდილი მებრძოლი ფეხბურთელები ა. ჩივაძე, ი. ბელანოვი და სხვანი, გუნდიც გაცილებით უფრო ძლიერად ითამაშებდა, ვიდრე ამას წინათ ისლანდიელებთან რეიკიავიკში.

და აი, ეს მატჩიც, რომელსაც ასეთი ინტერესით მოველოდით ყველანი:

**პარიზი. „პარკ დე პრენსის" სტადიონი. 11 ოქტომბერი. 14 გრადუსი სითბო. 40 ათასი მაყურებელი.**

**საფრანგეთი:** ბატსი, ამორო, აიაში, ბოლი (ვერკრუისი, 25), ჟანიოლი, ფერნანდესი, ფერერი, ტიგანა, სტოპირა, პლატინი, პაპენი (ბელონი, 69).

**სსრ კავშირი:** დასაევი, ბესონოვი (ხიდიატულინი, 31), ჩივაძე, კუზნეცოვი, დემიანენკო, რაცი, იაკოვენკო, ზავაროვი, ალეინიკოვი, როდიონოვი (ბლოხინი, 79), ბელანოვი.

**მსაჯი პ. კაზარინი (იტალია).**

**გააფრთხილეს რაცი, კუზნეცოვი, ბოლი.**

პირველ ტაიმში ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, ფრანგი ფეხბურთელები თამაშობდნენ სწრაფად, კომბინაციურ და ინდივიდუალურ მოქმედებათა კარგი შეხამებით, მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საბჭოთა. ფეხბურთელთა აქტიური, ენერგიული თამაშიც. ისეთ პირობებში, რომელიც პირველ ტაიმში შეიქმნა, შესაძლო იყო ჩვენს გუნდს დაცვითი ტაქტიკა აერჩია, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, არ ჩაიკეტნენ დაცვაში, ძალზე ენერგიულად იბრძოლეს შუა მინდორზე. ხოლო ბელანოვის, როდიონოვის, ზავაროვისა და სხვათა სახიფათო კონტრშეტევები საკმაოდ რთული პრობლემების წინაშე აყენებდა ფრანგების დაცვას. ამ შეტევებში ხშირად ერთვოდა ჩივაძეც, რომელიც ამ მანევრების ერთ-ერთი მთავარი წამომწყებიც გახლდათ.

ამ 45 წუთის მანძილზე ფრანგების მხრივ როგორღაც ჩრდილში აღმოჩნდა მათი წამყვანი ფეხბურთელი პლატინი, შესვენების შემდეგ კი, როცა საბჭოთა ნაკრებმა თამამად ხელთ აიღო ინიციატივა და კონტრიერიშებიდან ხანგრძლივ შეტევაზე გადავიდა, პლატინი კიდევ უფრო „მიიმალა", მატჩი სტუმართა უპირატესობით წარიმართა.

ორი გოლი, რომელიც საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიტანეს საფრანგეთის ნაკრების კარში, იყო კარგად მოფიქრებული და ზუსტად შესრულებული კომბინაციური შეტევის ნაყოფი. პირველად თავი გამოიჩინა ბელანოვმა, რომელმაც 66-ე წუთზე კარგად გამოიყენა მარჯვენა ფლანგიდან მიწოდებული ბურთი და ღიად დარჩენილმა ზუსტად გაგზავნა იგი მიზანში, 10 წუთის შემდეგ კი კომბინაცია ზავაროვი-დემიანენკო-რაცი მეორე გოლით დამთავრდა — 2:0.

საბჭოთა ფეხბურთელებმა შესანიშნავად ჩაატარეს ეს მეტად ძნელი მატჩი და უაპელაციო გამარჯვებას მიაღწიეს. ნაკრების სხვა ფეხბურთელთა შორის საგანგებოდ გამოვყოფთ ცენტრალურ მცველს ა. ჩივაძეს, რომელმაც საუკეთესოდ ითამაშა, განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა, როცა ბურთი მოხვდა ძელს, შემდეგ მეკარე ბატსს, შემდეგ კვლავ ძელს და ფრანგები, მხოლოდ იღბლად გადაურჩნენ კიდევ ერთ გოლს.

# ევროპის ჩემპიონატი

გთავაზობთ ევროპის III შესარჩევი ჯგუფის წლევანდელ კალენდარს და სატურნირო მდგომარეობას 14 ოქტომბრისთვის:

ისლანდია-საფრანგეთი 0:0

**ისლანდია — სსრ კავშირი 1:1**
**ნორვეგია — გდრ 0:0**
**საფრანგეთი — სსრ კავშირი 0:2**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 3 |
| ისლანდია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| გდრ | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 0 |

29. X. გდრ–ისლანდია
**29. X. სსრ კავშირი-ნორვეგია**
19. XI. გდრ — საფრანგეთი

• • •

**II ჯგუფი**

**ლისაბონი.** 12 ოქტომბერს აქ შედგა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი პორტუგალიისა და შვეციის გუნდებს შორის. პორტუგალიელებმა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სრულიად შეცვლილი შემადგენლობა გამოიყვანეს. პირველ ტაიმში ისინი ხშირად უტევდნენ, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს — 0:0. შესვენების შემდეგ შვედების თავდამსხმელმა სტრომბერგმა ძლიერად დაარტყა კარში, მასპინძელთა მეკარე ბენტუმ ვერ მოიგერია ბურთი და სტუმრები დაწინაურდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს პორტუგალიელებმა ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა (კოელიო) და მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეცია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 3 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

იტალიისა და მალტის გუნდებს, რომლებიც აგრეთვე მონაწილეობენ ამ ჯგუფში, ჯერ თამაშები არ ჩაუტარებიათ.

# საქართველოს სპორტსახკომში

სპორტსახკომში გამართულ კოლეგიის სხდომაზე იმსჯელეს II ლიგის IX ზონის საკავშირო გათამაშების კალენდარულ მატჩში რუსთავის სტადიონზე მომხდარი ფაქტის შესახებ. ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი „მეტალურგი" და სამტრედიის „ლოკომოტივი". (მსაჯი ე. სილაგავა). კოლეგიამ დეტალურად გააანალიზა მომხდარი ინციდენტი (ვრცლად ამის შესახებ „ლელოში" ადრე დაიწერა) და დაადგინა: „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა მოქმედება შეფასდეს, როგორც საბჭოთა სპორტსმენისთვის შეუფერებელი საქციელი. სამტრედიელ ფეხბურთელებს შ. კაშიას და დ. თვალაბეიშვილს ხულიგნური საქციელისთვის აეკრძალოთ ოსტატთა გუნდებში თამაში, რუსთავის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების წინაშე დაისვას საკითხი მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომის ბიურომ პრინციპულად იმსჯელა მომხდარ ფაქტზე და დასაჯა როგორც „ლოკომოტივის" ფეხბურთელები, ისე ადგილობრივი სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობა, დაისვა საკითხი „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელის თანამდებობაზე ჯ. ჯალაღონიას დატოვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

თბილისისა და სამტრედიის „ლოკომოტივის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებში სასწავლო-სპორტული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტებისა და უკონტროლობისთვის სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საბჭოს თავმჯდომარეს თ. ქობულაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

აღინიშნა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსის ვ. ქურდიანის სუსტი მუშაობა, თუ იგი შემდგომში ვერ გარდაქმნის საქმიანობის სტილსა და მეთოდებს, თუ მის მიერ გაწეული მუშაობა კონკრეტულ შედეგს არ გამოიღებს, საქართველოს პროფსაბჭოს წინაშე დაისმება საკითხი დაკავებული თანამდებობისთვის მისი შეუფერებლობის შესახებ.

სპორტკომიტეტებისა და სპორტსაზოგადოებათა თავმჯდომარეებს, ადგილობრივ ფეხბურთის ფედერაციებს დაევალათ საჭირო ღონისძიებანი გაატარონ, რათა ფეხბურთის კალენდარული შეხვედრები მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდეს, ფართოდ გამოიყენონ ლექცია-საუბრები, ახსნა-განმარტებითი და სხვა შესაბამისი ფორმები, მაყურებელთა შორის აწარმოონ მიზანმიმართული მუშაობა ფეხბურთის თამაშის წესების შესასწავლად.

კოლეგიამ განიხილა აგრეთვე II ლიგის IX ზონის ოსტატ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში თბილისის „ლოკომოტივსა" და ოქტემბერიანის „სპარტაკის" მატჩში მომხდარი დანაშაულის საკითხი.

ამ მატჩის დამთავრების შემდეგ „ლოკომოტივის" უფროსმა მწვრთნელმა გ. ჯანელიძემ დაითანხმა სპარტაკელთა გუნდის უფროსი ბ. არშაკიანი და თამაშის არბიტრი ი. კოჩანოვი, რათა ხელახლა გადაეწერათ უკვე შედგენილი მატჩის ოქმი და მასში არ შეეტანათ თბილისელი ფეხბურთელის კ. უორუიკაშვილის გაფრთხილება, რაც მისთვის მეორე იყო მიმდინარე სეზონში.

ეს ფაქტი მას შემდეგ გამოვლინდა, როცა ი. კოჩანოვმა შეიგნო თავისი დანაშაული და მომხდარი ამბის შესახებ ახსნა-განმარტებითი ბარათი გაუგზავნა საკავშირო პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციას. ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ, ჩადენილი სიყალბისთვის გ. ჯანელიძეს სასტიკი საყვედური გამოუტანა, ხოლო იმის გამო, რომ „ლოკომოტივმა" მომდევნო კალენდარულ მატჩში აშტარაკის „ოლიმპიასთან" ათამაშა ორჯერ გაფრთხილებული ფეხბურთელი კ. უორუიკაშვილი, გააუქმა შედეგი და „ლოკომოტივს" წაგება ჩაუთვალა.

კოლეგიამ სიყალბის ჩადენისთვის სამსახურიდან გაათავისუფლა გ. ჯანელიძე და 1986-87 წლების სპორტულ სეზონში აუკრძალა ოსტატთა და რესპუბლიკის პირველობაზე მონაწილე ფეხბურთელთა გუნდებში მუშაობა. გუნდის უფროსს ნ. ხიზანიშვილს და მწვრთნელს ი. რუხაძეს გამოეცხადათ საყვედური, ფეხბურთელ კ. უორუიკაშვილს 1986 წელს აეკრძალა საკავშირო პირველობაში მონაწილეობა.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრიზზე

# ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ

**განვლილ** კვირას გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრიზის III ტურის მატჩები წინასწარ ჯგუფებში.

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ერევნის „არარატი". მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 2:0, ბურთები გაიტანეს გურულმა და ბიგვავამ. დინამოელთა შემადგენლობა: ბალაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ჩეკუნოვი, გოგრიჭიანი (ბეკოევი, 86), ქაქილაშვილი, სვანაძე, ცვეიბა, ცაავა (ბაკურაძე, 78), გურული (ბიგვავა, 71), მესხი.

ქუთაისის ტორპედოელები ბაქოში შეხვდნენ „ნეფთჩის" და ფრედ დაამთავრეს თამაში — 2:2.

სხვა მატჩების შედეგები: „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 2:0, „ქაირათი" (ალმაათა) — „დინამო" (მოსკოვი) 2:0, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „შახტიორი" (დონეცკი) 2:0, „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (კიევი) 3:1, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 1:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „დინამო" (მინსკი) 1:0.

საბოლოო შედეგები ქვეჯგუფში ასეთია:

**„ა" ჯგუფი**

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „არარატი" | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 4 |
| 2. | „ნეფთჩი" | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 3 |
| 3. | „დინამო" თბ. | 3 | 1 | 1 | 1 | 2-1 | 3 |
| 4. | „ტორპედო" ქ. | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |

**„ბ" ჯგუფი**

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „სპარტაკი" | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 5 |
| 2. | „ტორპედო" მ. | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 4 |
| 3. | „ქაირათი" | 3 | 1 | 0 | 2 | 2-2 | 2 |
| 4. | „დინამო" მ. | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

**„დ" ჯგუფი**

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „ზენიტი" | 3 | 2 | 0 | 1 | 3-1 | 4 |
| 2. | „მეტალისტი" | 3 | 2 | 0 | 1 | 8-2 | 4 |
| 3. | „ჟალგირისი" | 3 | 1 | 1 | 1 | 3-8 | 3 |
| 4. | „დინამო" მნ. | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

**„ც" ჯგუფი**

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „დნეპრი" | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 5 |
| 2. | „ჩერნომორეცი" | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 3 |
| 3. | „შახტიორი" | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 3 |
| 4. | „დინამო" კ. | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |

26-27 ოქტომბერს ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან „ზენიტი" — „არარატი" და „დნეპრი" — „სპარტაკი".

წილისყრით თამაშები ჩატარდება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

## ფეხბურთის ამბები

### ფიფა-ს ახალი კომიტეტი

როგორც ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ შექმნა კომიტეტი, რომლის კომპეტენციაში შედის მატჩების დროს ხულიგნობასთან და კორუპციულ მოვლენებთან ბრძოლა.

## დანიელმა შეცვალა დანიელი

მას შემდეგ, რაც მიუნჰენის „ბაიერნმა" თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, ცნობილი დანიელი ნახევარმცველი სიორენ ლერბი დაკარგა (იგი „მონაკოში" გადავიდა), გუნდის მესვეურები მის შემცვლელს ეძებდნენ. ბოლოს მიაგნეს კიდეც: შვეიცარიის „იანგ ბოისის" მოთამაშე, 23 წლის დანიელ ლარს ლუნდთან გააფორმეს კონტრაქტი.

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის V ტურის შეხვედრები I ლიგის გუნდებს შორის.

**I-XII ადგილები**

„ამირანი" (ოჩამჩირე) — „მადნეული" (ბოლნისი) 2:0, „დინამო" (ზუგდიდი) — „არმაზი" (მცხეთა) 2:2, „კახეთი" (თელავი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 1:2, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „შევარდენი"-სპი (თბილისი) 3:1, „ეგრისი" (ცხაკაია) — „ივერია" (ხაშური) 2:0, „სულორი" (ვანი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:2.

**XIII-XXIII ადგილები**

„დურუჯი" (ყვარელი) — „იმერეთი" (ქუთაისი) 2:2, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 2:1, „იმედი" (თბილისი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 0:0, „სქური" (წალენჯიხა) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 4:2, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" (გაგრა) 2:0.

# იწყება ოლიმპიური ტურნირი

**დღეს** იწყება ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი ფეხბურთში, ოსლოს „ულევოლის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან ნორვეგიისა და სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდები. ესაა IV საკვალიფიკაციო ჯგუფის კალენდარული მატჩი, ამ ჯგუფში სსრ კავშირისა და ნორვეგიის ფეხბურთელთა გარდა გამოდიან ბულგარეთის, თურქეთისა და შვეიცარიის გუნდები. (შესარჩევ ჯგუფში მოსახვედრად შვეიცარიელებმა ორი საკლასიფიკაციო მატჩი გამართეს ლიხტენშტეინის გუნდთან და ორივე დიდი ანგარიშით მოიგეს — 10:0 და 9:0).

ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობენ ფეხბურთელები, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ და ფინალურ მატჩებში.

1988 წლის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირში განაცხადი შეიტანა 116 ქვეყნის ფედერაციამ, რომელთაგან 27 ევროპის წარმომადგენელია. შესარჩევ თამაშებში მონაწილეობს ყველა, წინა ოლიმპიადის ჩემპიონი საფრანგეთის გუნდიც კი.

საბჭოთა ოლიმპიელი ფეხბურთელები ინტენსიურად ემზადებოდნენ დღევანდელი მატჩისთვის, რამდენიმე საკონტროლო მატჩი გამართეს, მათგან აღსანიშნავია გამარჯვებები ჩეხოსლოვაკიისა (1:0) და შვეციის (2:0 და 1:0) ოლიმპიურ გუნდებთან. სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების უფროსი მწვრთნელია კიევის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ბიშოვეცი. გუნდის შემადგენლობაში გამოდიან თბილისელი ფეხბურთელები გ. კეტაშვილი და დ. კუდინოვი.

**ნორვეგიისა და სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდების საფეხბურთო მატჩს ცენტრალური ტელევიზია გადასცემს დღეს I პროგრამით 23 საათიდან თბილისის დროით.**

• • •

დაიწყო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

საფრანგეთის ნაკრებმა ჰავრში მიიღო სსრ კავშირის გუნდი და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1 (1:0).

ამავე ჯგუფის ტურნირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ნორვეგიის გუნდებმა ფრედ ითამაშეს — 0:0.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# „შახტიორი“ არ ხუმრობს

**დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტური.**

**მოსკოვი.** საბჭოთა კავშირის ვიცეჩემპიონმა ცსკა-მ ტურის ბოლო ორი მატჩიც მოიგო. შაბათს მან თბილისის დინამოელები დაამარცხა — 93:60, კვირას კი მოსკოვის „დინამოს“ აჯობა — 100:82. ცსკა-მ ამ ტურის შემდეგ ხელთ იგდო ლიდერობა.

თბილისის „დინამომ“ მოსკოვის ჯგუფის შეხვედრები ნაკლებ ეფექტურად ჩაატარა. მან სამი შეხვედრა წააგო დ მხოლოდ კვირის მატჩში ალმა-ათის არმიელებთან მიაღწია სასურველ შედეგს — 79:71.

ალმა-ათის ასკ უმაღლეს ლიგაში, როგორც ჩანს, სერიოზული გეგმებითაა შემოსული. ყოველ შემთხვევაში მოსკოვის „დინამოსთან“ გამარჯვების შემდეგ (89:78) ამ გუნდს ყველა მეტოქე ალბათ პატივისცემით უნდა მოეპყრას.

**კიევი.** ადგილობრივმა არმიელებმა ბოლოს და ბოლოს დაკარგეს ქულა. ამჯერად ისინი „სტროიტელის“ კალათბურთელებმა დაამარცხეს — 104:82. სამაგიეროდ ტურის დასკვნით მატჩში ასკ კვლავ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელები 10 ქულის სხვაობით (88:78) დაამარცხა.

როგორც იქნა „თავის თამაშს მიაგნო“ ლენინგრადის „სპარტაკმა“ — შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა. შაბათს მან მინსკის რტი-ს აჯობა — 69:59, კვირას კი ადგილობრივ „სტროიტელს“ წაართვა 2 ქულა — 74:72.

**კაუნასი.** ამ ჯგუფის გუნდებმა პირველი წრის მეორე ტურის მატჩები ორი დღის დაგვიანებით დაიწყეს („ჟალგირისი“ ევროპული ტურნირების შეხვედრებით იყო დაკავებული). საბჭოთა კალათბურთის ლიდერის, კაუნასის „ჟალგირისის“ პირველივე გამოსვლა ჩემპიონატში სენსაციური შედეგით აღინიშნა: იგი დამარცხდა რიგის ვეფ-თან, თანაც 23 ქულით — 83:106.

მას მეორე დღესაც საკმაოდ ძნელი ბრძოლის გადატანა მოუხდა ვილნიუსის „სტატიბასთან“. „ჟალგირისმა“ მინიმალური სხვაობით გაიმარჯვა — 83:82.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტის დონეცკის „შახტიორის“ ორმა გამარჯვებამ ლენინგრადის „სპარტაკთან“ კალათბურთის სამყარო ჯერ კიდევ სექტემბერში აალაპარაკა. ახლა, კაუნასის ტურში „შახტიორი“ კვლავ ანცვიფრებს მაყურებელს. დონეცკელმა კალათბურთელებმა პირველი ტურის წარმატებას კიდევ ორი ახალი გამარჯვება დაუმატეს: ჯერ ვილნიუსის „სტატიბა“ დაამარცხეს — 91:67, მერე კი ვეფ-საც აჯობეს — 87:74, „შახტიორი“ მეორე ტურის მატჩებს ჯერჯერობით უდანაკარგოდ ატარებს.

დღეს კაუნასში ჩემპიონატის ამ ეტაპის მატჩები დამთავრდება. ტურნირი განახლდება 22 ოქტომბერს დონეცკში, ალმა-ათასა და რიგაში. თბილისის „დინამო“ ამჯერად დონეცკში გაემგზავრება, სადაც ადგილობრივ „შახტიორს“, კაუნასის „ჟალგირისსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შეხვდება (ამჯერად გუნდები ერთმანეთს შორის თითო მატჩს გამართავენ).

დონეცკის ტურის მატჩების განრიგი ასეთია: **22 ოქტომბერი.** „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „შახტიორი“ (დონეცკი), „დინამო“ (მოსკოვი)— „დინამო“ (თბილისი).

**23 ოქტომბერი.** „ჟალგირისი“ — „დინამო“ (თბილისი), „შახტიორი“ — „დინამო“ (მოსკოვი).

**24 ოქტომბერი.** „ჟალგირისი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 13 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 8 | 7 | 1 | 724-624 | 15 |
| ასკ (კიევი) | 8 | 6 | 2 | 685-655 | 14 |
| „სტროიტ.“ (კ.) | 8 | 5 | 3 | 708-656 | 13 |
| „დინ.“ (თბ.) | 8 | 5 | 3 | 625-635 | 13 |
| „დინ.“ (მოს.) | 8 | 3 | 5 | 704-721 | 11 |
| რტი (მინსკი) | 8 | 3 | 5 | 649-650 | 11 |
| „სპარტ.“ (ლენ.) | 8 | 3 | 5 | 643-652 | 11 |
| ასკ (ალმა-ათა) | 8 | 2 | 6 | 595-655 | 10 |
| „შახტ.“ (დონ.) | 6 | 4 | 2 | 499-477 | 10 |
| „ჟალგ.“ (კაუნ.) | 6 | 3 | 3 | 566-498 | 9 |
| ვეფ (რიგა) | 6 | 2 | 4 | 511-522 | 8 |
| „სტატ.“ (ვილნ.) | 6 | 1 | 5 | 489-543 | 7 |

საკავშირო პირველობა ფეხბურთში
სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს შორის

# ორი გამარჯვება

**ტერნოპოლი. (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).** უკრაინის ამ ქალაქში დაიწყო საკავშირო პირველობის ფინალური გათამაშება სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ფეხბურთელთა გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკათა ნაკრები კოლექტივები.

საქართველოს ნაკრებმა, რომელიც დაკომპლექტებულია ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის ბაზაზე (მწვრთნელი ე. გუგუშვილი) პირველი მატჩი გამართა ტაჯიკეთის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. მეორე ტურში ჩვენი ფეხბურთელების მეტოქე იყო რსფსრ-ს ნაკრები, საქართველოს გუნდმა აქაც წარმატებას მიაღწია — 3:1.

მესამე ტურის შეხვედრას საქართველოს ფეხბურთელები 15 ოქტომბერს გამართავენ უზბეკეთის ნაკრებთან.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# ფინალისტთა ექვსეულის მიღმა

**მოსკოვსა და ხარკოვში დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის ბოლო, მეექვსე ტურის მატჩები.**

**მოსკოვი.** ამ ჯგუფში მოსკოვის, ალმა-ათისა და ლვოვის დინამოელთა ბედი, ფაქტიურად, გარკვეული იყო. სამივე კოლექტივს ფინალისტთა ექვსეულში თამაში განაღდებული ჰქონდა. ამ უფლების თეორიულ შანსებს თბილისის „დინამო“ ინარჩუნებდა, მაგრამ ყველაფერი ხარკოვის ჯგუფში უნდა გადაწყვეტილიყო, სადაც თბილისელთა მთავარი მეტოქე „მოსკვიჩი“ ხარკოვის „ლოკომოტივთან“ თამაშობდა.

შაბათის მატჩი თბილისის „დინამომ“ დიდი მონდომებით ჩაატარა, მაგრამ კიევის თანაკლუბელებთან შეხვედრაში მხოლოდ ფრეს (9:9) მიაღწია. ფრე ამჯერად დამარცხების ტოლფასი იყო, ვინაიდან თბილისელებმა ფინალში გასვლის ის ერთადერთი შანსიც დაკარგეს.

მეორე დღის მატჩის შედეგს (ალმა-ათის დინამოელებთან) ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამის მიუხედავად ბრძოლა უაღრესად დაძაბული გამოდგა და თამაში თბილისის „დინამომ“ მხოლოდ მინიმალური სხვაობით (10:11) დათმო.

ბოლო ორი ტურის სხვა მატჩები ამ ჯგუფში ასე დამთავრდა: „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ლვოვი) 14:10, „დინამო“ (ალმა-ათა)—„ტორპედო“ (მოსკოვი) 12:6, „დინამო“ (ლვოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 10:8.

**ხარკოვი.** „მოსკვიჩმა“, ცხადია არ იცოდა რა შედეგებით დამთავრდა შაბათის მატჩები მოსკოვის ჯგუფში, ამიტომ ხარკოვის „ლოკომოტივთან“ თავგამოდებით ითამაშა და ფრეს (5:5) მიაღწია. ამ ერთმა ქულამ „მოსკვიჩს“ ფინალის საგზური მოუტანა.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები კი ასეთი იყო: „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — კქფ (ბაქო) 11:9, ცსკა ვმფ — „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) 8:7, „უნივერსიტეტი“ — „მოსკვიჩი“ 10:3, ცსკა ვმფ — კქფ 12:7, „ლოკომოტივი“ — „ბალტიკა“ 5:5.

ამრიგად, პირველ ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლება მოსკოვისა და ალმა-ათის „დინამომ“, „უნივერსიტეტმა“, ცსკ ვმფ-მა, ლვოვის „დინამომ“ და „მოსკვიჩმა“ მოიპოვეს. მეორე ჯგუფში კი, სადაც VII-XII ადგილების მფლობელთა ვინაობა გაირკვევა, გამოვლენ: თბილისის „დინამო“, ბაქოს კქფ, კიევის „დინამო“, ლენინგრადის „ბალტიკა“, ხარკოვის „ლოკომოტივი“ და მოსკოვის „ტორპედო“.

**გათამაშების ცხრილი**

**მეორე წრის საბოლოო შედეგები**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ (მოს.) | 22 | 20 | 2 | 0 | 224-138 | 42 |
| „დინ.“ (ა-ათა) | 22 | 14 | 4 | 4 | 208-164 | 32 |
| უნივ. (მოს.) | 22 | 13 | 4 | 5 | 194-145 | 30 |
| ცსკ ვმფ | 22 | 14 | 1 | 7 | 201-171 | 29 |
| „დინ.“ (ლვ.) | 22 | 12 | 4 | 6 | 197-174 | 28 |
| „მოსკვიჩი“ | 22 | 9 | 4 | 9 | 138-151 | 22 |
| „დინ.“ (თბ.) | 22 | 6 | 6 | 10 | 170-186 | 18 |
| კქფ (ბაქო) | 22 | 4 | 8 | 10 | 183-206 | 16 |
| „დინ.“ (კიევი) | 22 | 6 | 3 | 13 | 159-199 | 15 |
| „ბალტ.“ (ლენ.) | 22 | 6 | 3 | 13 | 158-191 | 15 |
| „ლოკ.“ (ხარ.) | 22 | 5 | 5 | 12 | 147-191 | 15 |
| „ტორ.“ (მოს.) | 22 | 0 | 2 | 20 | 165-218 | 2 |

სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატი
ჭადრაკში ქალთა შორის

# დაწინაურდა გურიელი

**ფრუნზე, 13 ოქტომბერი (დეპეშით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი).** 11 და 12 ოქტომბერს გაიმართა II და III ტურის შეხვედრები.

II ტურში ნანა იოსელიანმა დაამარცხა ნინო გურიელი, ნატალია რუჩიევამ (სევასტოპოლი) — მარტა ლიტინსკაია (ლვოვი), სვეტლანა პრუდნიკოვა (ბალაკოვო) დამარცხდა ირინა ლევიტინასთან (ლენინგრადი) ორთაბრძოლაში. დაზავდნენ ფლორა უსკოვა და გულნარა სახატოვა (ორივე — ალმა-ათა).

III ტურში გურიელმა მოუგო ლარისა მუჩნიკს (ნიკოლაევი), სახატოვამ — ლაგვილავას, ყაიმზე შეთანხმდნენ სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე) და კამილე ბაგინსკაიტე (ვილნიუსი).

სამი ტურის შემდეგ დაწინაურდა გურიელი—2 ქულა, სახატოვას 1,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, იოსელიანს — 1 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ლაგვილავას — 0 (1). ქეთევან არახამიას სამივე პარტია გადადებული აქვს.

**იაკობ ლაპიდუსი.**

# მსოფლიო პრესის სარკეში

**გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანშის ექო**

**ბრატისლავა (გაზეთი „პრაცა“):** „კასპაროვმა შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და პირველმა გაიმეორა ემანუილ ლასკერის ადრინდელი მიღწევა. ყველა დანარჩენი მსოფლიო ჩემპიონი, როგორც წესი, მატჩ-რევანშს აგებდა. კასპაროვი „შედეგზე“ თამაშის დროსაც კი დიდ ყურადღებას უთმობს ამ უძველესი თამაშის მხატვრულ მხარეს. თავისი ტემპერამენტის, ფანტაზიისა და მაძიებელი ბუნების წყალობით იგი შესანიშნავად ახერხებს შეჯიბრების წმინდა სპორტული ასპექტების დათრგუნვას. შეიძლება ითქვას, რომ კასპაროვმა ჭადრაკს შესძინა ახალთახალი, ცინცხალი იდეები“.

**მადრიდი (გაზეთი „პაისი“):** „კასპაროვსა და კარპოვს შორის ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის ყველაზე დიდი სპორტული მეტოქეობის მაგალითია საჭადრაკო ხელოვნების ისტორიაში“.

**ბუდაპეშტი. (გაზეთი „ნეპსაბადშაგი“):** „კასპაროვმა რომანტიულ სტილში დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და დაამტკიცა, რომ ჭადრაკში თანამედროვე ინფორმაციის მოზღვავებისა და დიდოსტატთა მიერ თეორიის ჩინებულად ცოდნის პირობებშიც კი შეიძლება შეიქმნას ორიგინალური ნიმუშები“.

**ლოს-ანჯელესი (გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“):** „ჭადრაკის მოყვარულებს ახლახანს დამთავრებული მატჩი მიაჩნიათ ყველაზე დრამატიულ და ყველაზე ბრწყინვალე ასპარეზობად, რომელიც ოდესმე გამართულა“.

**ვენა (გაზეთი „ზალცბურგერ ნახრიხტენი“):** „23 წლის გარი კასპაროვმა საკმაოდ დამაჯერებლად დაიცვა თავისი ტიტული ჭადრაკში. ეს მოხდა მსოფლიო პირველობაზე პირველი მატჩიდან ზუსტად 100 წლის შემდეგ. გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის გამართული მატჩი ჭადრაკის ისტორიაში შევა როგორც დაუვიწყარი დუელი. თუ 1987 წელს, ალბათ შემოდგომაზე, კვლავ ეს ორივე მოჭადრაკე შეხვდება ერთმანეთს, მეტად მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი. მაგრამ მანამდე კარპოვმა უნდა მოუგოს ანდრეი სოკოლოვს, ისეთივე ახალგაზრდა მოჭადრაკეს, როგორც კასპაროვია“.

# სოკ-ის პრობლემები

**ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 91-ე სესია მიმდინარეობს. დღეს გთავაზობთ ინფორმაციას, რომელიც, ვფიქრობთ საინტერესო იქნება სპორტის მოყვარულთათვის.**

1984 წლის ლოს-ანჯელესის ზაფხულის ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება დართეს პროფესიონალ ფეხბურთელებს. ახლა, კვლავ ოლიმპიური პრინციპების დარღვევით, განზრახულია 1988 წლის თამაშებზე დაუშვან პროფესიონალი სპორტსმენები — ფეხბურთელები, ჰოკეისტები, ჩოგბურთელები, ცხენოსნები — ე. ი. ათლეტები, რომელთაც დადებული აქვთ კონტრაქტები, გამოდიან მხოლოდ ფულის მისაღებად და ფირმებისა და კომპანიების ინტერესებს იცავენ.

სოკ-ის აღმასკომმა შეიმუშავა „ათლეტის კოდექსი“, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში ფართოდ უღებს კარს პროფესიონალებს. უნდა ითქვას, რომ „ათლეტის კოდექსი“ გააკრიტიკეს და მისი განხილვა ამოიღეს სოკ-ის გასული წლის ბერლინის სესიის დღის წესრიგიდან.

რამდენიმე თვის წინ სეულში გამართულ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის გენერალურ ასამბლეაზე უმრავლესობამ დაგმო კოდექსი. მიუხედავად ამისა, სოკ-ის აღმასკომმა კვლავ შემოიტანა წინადადება პროფესიონალების თამაშებში მონაწილეობის შესახებ; სიტყვა ახლა სოკ-ის 92 წევრს ეკუთვნის (75 ქვეყნის წარმომადგენლები).

„ათლეტის კოდექსი“ სეულის ასამბლეაზე ჩასულმა საბჭოთა დელეგაციამაც დაგმო. იგი გამოვიდა თამაშებში პროფესიონალების მონაწილეობის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სურვილს უმასპინძლოს მომავალ საზაფხულო ოლიმპიადას ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეაში. ამ წინადადებას ბევრი უჭერს მხარს.

ოლიმპიადების პროგრამაში კვლავ შეაქვთ შესწორებები. იგი თანდათან ფართოვდება. ასე, მაგალითად, ოლიმპიადა-88-ის პროგრამაში შეტანილია ჩოგბურთი და მაგიდის ჩოგბურთი, ქალთა რბენა 10.000 მეტრზე და სხვა დისციპლინები.

სეულის აღმასკომის სხდომაზე წინადადება წამოაყენეს ოლიმპიადა-88-ში შეიტანონ ვაჟთა და ქალთა ცურვა 50 მეტრზე თავისუფალი სტილით, გუნდური შეჯიბრება მშვილდოსნობაში. შესაძლოა ოლიმპიადა-92-ის პროგრამაში ადგილი ბეისბოლმა და სოფტბოლმაც დაიმკვიდროს.

ლოზანის სესია დაასახელებს 1992 წლის ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადების დედაქალაქებს. მასზე პრეტენზიას აცხადებს სამი კონტინენტის ცამეტი ქალაქი. ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობა სურს სოფიას (ბულგარეთი), ფალუნს (შვეცია), ალბერტვილს (საფრანგეთი), კორტინა დ' ამპეცოს (იტალია), ლილეჰამერს (ნორვეგია), ბერჰტესგადენს (გფრ) და ანკორიჯს (აშშ), ზაფხულის ოლიმპიადისა — ბელგრადს (იუგოსლავია), პარიზს (საფრანგეთი), ბარსელონას (ესპანეთი), ამსტერდამს (ჰოლანდია), ბირმინჰემს (დიდი ბრიტანეთი) და ბრისბენს (ავსტრალია).

ამ ქალაქებმა ლოზანაში წარმოადგინეს თავიანთი ექსპოზიციები.

ახლახან სოკ-ში შევიდა წინადადება: ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადები სხვადასხვა წლებში ჩატარდეს, ამასთან, დაცული იქნას ოთხწლიანი ციკლი. ასე რომ, შესაძლოა ზაფხულის თამაშები 1992 წელს გაიმართოს, ზამთრისა კი — 1994 წელს.

ყოველივე ამას გადაწყვეტს ლოზანის სესია, რომელზეც სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტისა და აღმასკომის კიდევ ორ წევრს აირჩევენ.

# „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 41-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 1 (კალათბურთი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 21 (ცურვა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 25 (ციგაობა), 41 (მაგიდის ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5-36“-დან:** 1 (კალათბურთი), 17 (ციგურაობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 33 (ფეხბურთი), 34 (ბალახის ჰოკეი).

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 14 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საჭადრაკო სკოლა — **12.05 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **20.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში — **20.30 (2);** ფეხბურთელთა ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი: ნორვეგია — სსრ კავშირი — **23.00 (1).**

**საქართველოს ტელევიზია. 14 ოქტომბერი.** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: მ. ჩიბურდანიძე — ე. ახმილოვსკაიას მატჩი — **21.45;** ფეხბურთელთა ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი: ნორვეგია — სსრ კავშირი — **23.00.**

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 16 ოქტომბერს.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი: 66488. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 07541